

ანა ქაჯაია

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ტურიზმის სკოლა
როვირა და ვირგილის უნივერსიტეტი, ესპანეთი

2025 წლის გაზაფხული, რომელიც ესპანეთში,ქალაქ ტარაგონაში გავატარე მეტი იყო ვიდრე უბრალოდ სასწავლო სემესტრი, ეს იყო უდიდესი გამოცდილება და თავგადასავალი, რომელიც ჩემი ცხოვრების ყველაზე ფერად და მხიარულ მოგონებებთან ასოცირდება.

Erasmus + პროგრამის ფარგლებში, მომეცა შესაძლებლობა ტურიზმისა და მასპინძლობის შესახებ ცოდნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილი ლექტორებისაგან მიმეღო. კულტურული მრავალფეროვნება ყველაფერს ბევრად საინტერესოს ხდიდა. ყოველდღიურად ვისმენდი და აქტიურად ვმუშაობდი ჩემთვის მნიშვნელოვან თემებზე. აღსანიშნავია,რომ უნივერსიტეტის გარემო ყოველთვის ინტერაქციული იყო, გუნდურმა სამუშაოებმა და დისკუსიებმა კი მეტი მომცა ვიდრე უბრალოდ თეორიული ცოდნაა. მქონდა შანსი დამეთვალიერებინა კატალონიის საუკთესო სასტუმროები. ამ ყველაფერმა კი მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი პროფესიული ხედვა.

გავიცანი და დავუმეგრობდი ადამიანებს, რომლებთან ერთადაც დაუვიწყარი 6 თვე გავატარე. თითოეულმა მოგზაურობამ, ერთად გატარებულმა საღამოებმა თუ უბრალოდ საუბრებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და მომცა საშუალება სხვა თვალით შემეხედა საკუთარი თავისათვის. ტარაგონა არის პატარა ქალაქი, რომელმაც გამზარდა როგორც აკადემიურად, ასევე პიროვნულად და მასწავლა თუ რა არის დამოუკიდებლობა. აქ გატარებული ყოველი დღე კულტურული სიურპრიზებით იყო სავსე. ეს არის ქალაქი, რომელშიც არასდროს მოიწყენ და რომელიც მუდმივად იქნება მეორე სახლი.

საბოლოოდ, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად და იღბლიან შანსად მიმაჩნია. საკუთარი თავისა და ქვეყნის წარმოჩენა, ახალ გარემოს მორგება, სრულიად უცხო ადამიანების ახლა უკვე დაუვიწყარ მეგობრებად ქცევა, კულტურული სიახლეები, დამოუკიდებლობა და გამოწვევები, რომლებიც გზრდის და გეხმარება მიაღწიო უდიდეს წარმატებას არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომელებიც ამ საერთაშორისო პროგრამას მოჰყვა და მართლაც საოცრად შეცვალა ჩემი სტუდენტური ცხოვრება.